

## ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი: კვლევა თემაზე - მიგრაცია და განვითარება

2. შესყიდვის ფარგლებში გასაწევი მომსახურების აღწერილობა:

2.1. კვლევის მიზანი:

- მიგრაციის და განვითარების სფეროში კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება;
- კვლევითი თანამშრომლობის გაღრმავება (3.2 პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი სტატიის გამოცემა, კვლევის ერთობლივად დაგეგმვა და მის ინსტრუმენტებზე მუშაობა და სხვა) ქართულ და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს შორის.

2.2. კვლევის ამოცანები

- მიგრაციას და განვითარებას შორის არსებული კავშირების კვლევა;
- კვლევის საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება;
- კვლევის საფუძველზე მომზადებული სტატიის გაგზავნა უცხოენოვან აკადემიურ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში განსახილველად, რომელიც ეხება მიგრაციის სფეროს.

2.3. აუცილებელი მოთხოვნები:

- 2.3.1 კვლევა უნდა განხორციელდეს 2017 წლის დეკემბრამდე. კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვეს, კვლევის საგანი უნდა ეხებოდეს მიგრაციას და განვითარებას შორის არსებული კავშირებს და ფოკუსირებული უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთ ქვემოთ მოცემულ საკითხზე:
- დიასპორა;
  - იმიგრანტთა ინტეგრაცია;
  - დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია;
  - შრომითი (ცირკულარული) მიგრაცია.
- 2.3.2 აუცილებელია კვლევაში მონაწილეობდეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე აკადემიური პერსონალი;
- 2.3.3 კვლევაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა პროექტის ფარგლებში უცხოურ (საქართველოს ფარგლებს გარეთ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობა;
- 2.3.4 ამ კვლევის ფარგლებში წამყვანი მკვლევარის პოზიციაზე დასახელებულ პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- 2.3.5 ამ კვლევის ფარგლებში წამყვანი მკვლევარის პოზიციაზე დასახელებულ პირს უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი კვლევითი პროექტი მიგრაციის სფეროში;
- 2.3.6 ამ კვლევის ფარგლებში წამყვანი მკვლევარის პოზიციაზე დასახელებულ პირს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული მინიმუმ ორი სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

3. კვლევის განხორციელების პროცესი და შემსყიდველისთვის ჩასაბარებელი დოკუმენტაცია/მასალები:

- 3.1 ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს შემსყიდველს კვლევის ინსტრუმენტები (კითხვარები, ინტერვიუს ან ფოკუს ჯგუფის გზამკვლევები და ა.შ), რომელიც სასურველია შეთანხმდეს შემსყიდველის წარმომადგენელთან;
- 3.2 წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში, პოლიტიკის დოკუმენტის წარმოდგენამდე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული ინგლისურ ენაზე შედგენილი სტატიის მონახაზი (პროექტი) და ჟურნალის დასახელება, რომელშიც აპირებს სტატიის გამოსაქვეყნებლად გაგზავნას. შემსყიდველი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს მიმწოდებელს სტატია შენიშვნებით, შემდგომი

დამუშავების მიზნით არგუმენტირებული უარით დოკუმენტის მიუღებლობის შესახებ, რისთვისაც უსაზღვრავს ხარვეზის გამოსწორების მიზნით გონივრულ ვადას (არაუმეტეს 2 კვირა). შემსყიდველის მიერ დადგენილი ხარვეზის მითითებულ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად და შემსყიდველი არ აანაზღაურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას (ასევე გამოიყენებს წინასწარი ანგარიშსწორების მიზნით წარმოდგენილ გარანტიას თავის სასარგებლოდ), ხოლო შენიშვნების არ არსებობის შემთხვევაში დაუდასტუროს სტატიის ვარგისიანობა და მოსთხოვოს მიმწოდებელს არაუმეტეს 5 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი ჟურნალის მიერ სტატიის განსახილველად მიღების დასტურის შესახებ დამადასტურებელი ინფორმაცია;

- 3.3 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს პოლიტიკის დოკუმენტი (10-15 გვერდის მოცულობით, ქართულ და ინგლისურ ენებზე). შემსყიდველი დოკუმენტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აფორმებს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტს, ან უბრუნებს დოკუმენტს შემდგომი დამუშავების მიზნით არგუმენტირებული უარით დოკუმენტის მიუღებლობის შესახებ, რისთვისაც უსაზღვრავს ხარვეზის გამოსწორების მიზნით გონივრულ ვადას (არაუმეტეს 2 კვირა). შემსყიდველის მიერ დადგენილი ხარვეზის მითითებულ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად და შემსყიდველი არ აანაზღაურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას (ასევე გამოიყენებს წინასწარი ანგარიშსწორების მიზნით წარმოდგენილ გარანტიას თავის სასარგებლოდ);
- 3.4 ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის გასვლისთანავე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შუალედური ტექნიკური ანგარიში იმ მომენტისთვის პროექტის განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- 3.5 მიმწოდებელმა შემსყიდველს პოლიტიკის დოკუმენტთან ერთად უნდა წარუდგინოს კვლევის შედეგების პრეზენტაცია ელექტრონული ფაილის სახით ანალიტიკური და გრაფიკული კვლევის მიგნებებით და რეკომენდაციებით (PP ფორმატში ქართულ და ინგლისურ ენაზე).

**\*შენიშვნა:** ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში წინამდებარე ტექნიკური დავალება იქნება ხელშეკრულების დანართი და სავალდებულო იქნება შესასრულებლად აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ მომსახურების განხორციელების პირობები.

#### 4. პრეტენდენტის მიერ მოსაწოდებელი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- 4.1 კვლევითი პროექტის წინასწარი ზოგადი აღწერილობა (1,000-დან 2,000 სიტყვამდე დანართების და ბიბლიოგრაფიის გარეშე). პროექტის აღწერილობა უნდა მოიცავდეს კვლევის მიზნებს და ამოცანებს, კვლევის მნიშვნელობის დასაბუთებას, დეტალურ მეთოდოლოგიას, სხვა დაგეგმილი აქტივობების აღწერას, ორგანიზაციის რელევანტური გამოცდილების და რესურსების დასაბუთებას, პროექტში ჩართული პირების როლების აღწერას და გეგმა გრაფიკს. პროექტის წინასწარ აღწერილობაში უნდა ჩანდეს კვლევის იდეის ინოვაციურობა, მისი შესაბამისობა საქართველოს მიგრაციის 2016-2020 წლის სტრატეგიასთან და კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება კვლევის მიზნებთან მიმართებაში;
- 4.2 კვლევით პროექტში ჩართული მკვლევარების რეზიუმეები (უცხოური საგანმანათლებლო ან კვლევითი დაწესებულების წარმომადგენლის ჩათვლით), რომელშიც ასახული უნდა იყოს მათი გამოცდილება და უნარები;
- 4.3 კვლევით პროექტში ჩართული მკვლევარების ცნობები სამუშაო ადგილიდან;
- 4.4 შესყიდვის ობიექტზე მუშაობის მზაობის შესახებ წერილობითი თანხმობა თანამშრომლობაზე უცხოური უმაღლეს საგანმანათლებლოს პერსონალისგან (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
- 4.5 მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფასთა ცხრილი შევსებული სახით.

## 5. ფასთა ცხრილი

დაინტერესებული პირი	მომსახურების ღირებულება ლარში გადასახადების გათვალისწინებით, გარდა დღგ-ს, დაფინანსების წყარო (პროექტი „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა“) გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

ცხრილში მითითებული ღირებულება უნდა მოიცავდეს მე-3 მუხლით გათვალისწინებული გასაწევი მოსახურების უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა ხარჯს.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

მხარეებს შორის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყველა პუნქტის დაკმაყოფილების შემდეგ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში განხორციელდება ანგარიშსწორება.

მიმწოდებლის მიერ შესაბამისი წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია ავანსის სახით თანხის ანაზღაურება არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 20 პროცენტისა.